

საქართველოს ეროვნული ბანკი აცხადებს ვაკანსიას ფინანსური და საზედამხედველო ტექნოლოგიების განვითარების დეპარტამენტის კიბერუსაფრთხოების განყოფილების უფროსის პოზიციაზე.

კიბერუსაფრთხოების განყოფილების ამოცანაა: განახორციელოს საქართველოს საფინანსო სისტემაში არსებული კიბერუსაფრთხოების რისკების შეფასება/ანალიზი და დისტანციურად და ადგილზე შემოწმების გზით განახორციელოს კომერციული ბანკების რისკებზე დაფუძნებული ზედამხედველობა.

სამუშაოს სპეციფიკა: პოზიცია მოიცავს დინამიურ და მრავალმხრივ სამუშაოს საინტერესო და ძლიერი პროფესიონალების გუნდში, რაც საშუალებას აძლევს დასაქმებულს სრულად წარმოაჩინოს და განავითაროს თავისი შესაძლებლობები, მათ შორის შიდა და ორგანიზაციის გარეთ ტრენინგების მეშვეობით.

ფუნქცია-მოვალეობები:

- კომერციული ბანკების კიბერ-რისკების ანალიზი, და შესაბამისი საზედამხედველო ღონისძიებების მომზადება და გატარება;
- კიბერ-უსაფრთხოებასთან და სხვა საოპერაციო რისკებთან დაკავშირებული ნორმატიული აქტების შემუშავება და გადახედვა;
- საქართველოს ეროვნული ბანკის სხვა სტრუქტურულ ერთეულებთან აქტიური კომუნიკაცია და უკუკავშირი;
- საქართველოს ეროვნული ბანკის აღმასრულებელი მენეჯმენტისთვის ანგარიშგების მომზადება და პერიოდული მოხსენებების ჩატარება;
- ფინანსური ინსტიტუტების საქმიანობის მოქმედ კანონმდებლობასთან და ნორმატიულ ბაზასთან შესაბამისობის დადგენა;
- ფინანსური ინსტიტუტების ადგილზე ინსპექტირების დაგეგმვა და შემოწმება;
- ფინანსური ინსტიტუტებისთვის დაწესებული სავალდებულო და სარეკომენდაციო ღონისძიებების შესრულების შემდგომი მონიტორინგი;
- კიბერ-რისკების საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკის შესწავლა/ანალიზი და საჭიროების შემთხვევაში ადგილობრივ დონეზე მოცემული პრაქტიკის დანერგვა/გაზიარება.

ძირითადი მოთხოვნები:

- უმაღლესი განათლება - კომპიუტერული მეცნიერების, ეკონომიკის, ფინანსების და/ან მათემატიკის მიმართულებით;
- სამუშაო გამოცდილება - არანაკლებ 3 წელი კიბერუსაფრთხოების, საინფორმაციო სისტემების აუდიტის ან დაკავშირებულ დარგში;
- კიბერუსაფრთხოების დარგთან შეხება და ამავე დარგის ცოდნა;
- საინფორმაციო სისტემების ცოდნა;

- საინფორმაციო ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის ცოდნა;
- სისტემური და ქსელური ადმინისტრაციის საწყისების ფლობა;
- კომპიუტერული პროგრამები: MS Excel, MS Word, MS Outlook, MS Powerpoint - კარგად;
- უცხო ენები: ინგლისური ენა - B2; რუსული ენა - B2.

შერჩევის პროცესში უპირატესობა მიენიჭებათ იმ კანდიდატებს, რომლებსაც აქვთ:

- საინფორმაციო/კიბერუსაფრთხოების და საინფორმაციო სისტემების დარგში შესაბამისი სერტიფიცირება(მ.შ. CISSP, CISA, CISM, CRISC);
- საბანკო საქმეში, კიბერუსაფრთხოების, აუდიტის და საოპერაციო რისკების მართვის გამოცდილება, განსაკუთრებით საინფორმაციო სისტემების აუდიტის მიმართულებით;
- საბანკო კანონმდებლობის ცოდნა;
- საინფორმაციო სისტემების ცოდნა რომელიც თავის მხრივ მოიცავს არა მარტო საინფორმაციო ტექნოლოგიებს არამედ საინფორმაციო სისტემების მართვას ბიზნეს პროცესზე დაფუძნებული მეთოდების გამოყენებით;
- კომპიუტერული პროგრამირების ცოდნა;
- საგადახდო ბარათებთან მუშაობის გამოცდილება.

კომპეტენციები:

- საბანკო კანონმდებლობის ცოდნა;
- საკუთარ თავზე მუშაობის და დახვეწის უნარი;
- პასუხისმგებლობის მაღალი გრძნობა და კეთილსინდისიერება;
- შრომისუნარიანობა;
- ორგანიზაციული უნარ-ჩვევები, დაგეგმვისა და სამუშაო დროის ოპტიმალურად განაწილების უნარი, მიზანდასახულობა, განვითარების სურვილი;
- სხარტი აზროვნება, მრავალმხრივი ინფორმაციის ანალიზის და სისტემატიზების უნარი. შეზღუდული ინფორმაციის პირობებში გადაწყვეტილების მიღების უნარი;
- კომუნიკაბელურობა და გუნდური მუშაობის უნარი;

თანამდებობრივი სარგო: 5 146 ლარი (დარიცხული)

კონკურსის ფორმა:

- რეზიუმეების გადარჩევა;
- გასაუბრება.

დაინტერესების შემთხვევაში, გთხოვთ, 2019 წლის 12 სექტემბრამდე, CV გამოაგზავნოთ შემდეგ ელექტრონულ მისამართზე: vacancies@nbg.gov.ge, ხოლო სათაურში მიუთითეთ ვაკანსიის დასახელება - კიბერუსაფრთხოების განყოფილების უფროსი.